

სსიპ საქართველოს
ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი



LEPL GEORGIAN STATE
TEACHING UNIVERSITY OF
PHYSICAL EDUCATION AND
SPORT

ქ. თბილისი

„01“ ნოემბერი „2017 წელი

ბრძანება № 01-68

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ბაზაზე თბილისის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის
საჯარო სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა გადამზადების
ტრენინგების ჩატარების შესახებ

სსიპ მასწავლებელთა პროფესიულ მომზადების ეროვნულ ცენტრთან 2017 წლის 17 ოქტომბერს
01-03/208 და 2017 წლის 24 ოქტომბერს 01-03/217 გაფორმებული ხელშეკრულებებით
გათვალისწინებული მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგების მაღალორგანიზაციულ
დონეზე ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს თბილისის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის საჯარო სკოლების
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა ტრენინგი 2017 წლის 3 ნოემბრიდან
24 დეკემბრამდე, ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას.
2. ტრენინგის ჩატარების ადგილებად განისაზღვროს შემდეგი ობიექტები
 - თბილისი, საქართველოს სპორტის უნივერსიტეტის ბაზა-
(თბილისის, მცხეთის და თიანეთის მასწავლებლები);
 - გორი, # 3 და # 7 საჯარო სკოლების ბაზა
(გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის მასწავლებლები);
 - დუშეთი სპორტული კომპლექსი
(დუშეთის და ყაზბეგის რაიონების მასწავლებლები);
3. დამტკიცდეს ტრენინგში მონაწილე პედაგოგთა სია (დანართი 1)

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.ge

4. უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების, შესყიდვების, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებმა, კანცელარიამ, სამეურნეო, სასწავლო პროცესის მართვის, საგამოცდო ცენტრის განყოფილებებმა და დეკანატებმა უზრუნველყონ ტრენინგის მიმდინარეობის პროცესში აუცილებელი დახმარების აღმოჩენა,
5. შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ ფინანსური, მატერიალური, ადამიანური და სხვა რესურსების დროულად გამოყოფა.
6. დაევალოს პროექტის კოორდინატორებს: მერაბ მეტრეველს და მარინე ხაბურზანიას, უზრუნველყონ ტრენინგის მსვლელობის პროცესის მონიტორინგი და წარმოქმნილ პრობლემებზე დროული რეაგირება.
7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას კანონმდებლობით გათვალისწინებული დონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ამ ბრძანებით დაინტერესებული პირებისათვის გაცნობისა და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დამევალოს პირადად მე.

რექტორი, პროფესორი



ჯემალ მაგანია